ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

22 (9913) • 30 maisi • 2011 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე კომენტარი გააკეთა

საქართველოში განვითარებული მოვლენებით უკრაინული ტელეკომპანია ''ინტერიც''დაინტერესდა. გადაცემა ''ბოლშაია პოლიტიკას'' წამყვანმა ევგენი კისილიოვმა პირდაპირ ეთერში შეკითხვები საქართველოს პრზიდენტს დაუსვა.

წამყვანი 2009 წლის აქციებით დაინტერესდა და პრეზიდენტს ჰკითხა, რატომ არ გაიმეორა ეს გადაწყვეტილება 2011 წელს მთავრობამ.

"რამდენადაც მე მესმის, მოსკოვმა გადაწყვიტა არაბული რევოლუციის იმიტირება მოეხდინა ჩვენთან, მაგრამ უპირველესყოვლისა მათ ამის შესაძლებლობა არ აქვთ, და მეორეს მხრივ აქ არ არის საკმარისი ხალხი სამაგისოდ. ასეთი რევოლუცია აქ ერთხელ უკვე მოხდა 2003 წელს, როდესაც ხალხმა მოიშორა კორუმპირებული კლანი, რომელიც საქართველოს ბატონობდა. მას შემდეგ სიმდიდრე გაუჩინარდა ქართული პოლიტიკიდან, რა თქმა უნდა ჩვენი მთავრობა არ არის იდეალური, მაგრამ ვერავინ იტყვის რომ რომელიმე ჩვენთაგანი არის მდიდარი. ჩემი არცერთი ნათესავი არ მონაწილეობს ბიზნესში, არცერთი თანამდებობის პირი არ ცხოვრობს ძვირადღირებულ სახლებში და არ ჰყავს ძირფასი მანქანები, არავინ ყიდულობს საფრანგეთში ვილებს.

"ასე რომ ჩვენ შევქმენით სახემწიფო, რომელსაც თავისი ნაკლოვანებების მიუხედავად, ხალხი ენდობა თავის მთავრობას, პარლამენტს, რომელიც მათ აბარებს ანგარიშს და არა სხვა კლანებს, კორუმპირებულ ჯგუფებს ან მითუმეტეს სხვა ქვეყნებს.

"საქართველოში ცხოვრება გაცილებით იოლი გახდა და სახელმწიფო აპარატი- იქნება ეს პოლიცია თუ საგადასახადო სამსახური- განთავსებული არიან შუშის შენობებში, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია შევიდეს. მე იმის თქმა მინდა, რომ სახელმწიფო აპარატი არის სერვისი- ჩვენ ვემსახურებით ხალხს," - განაცხადა სააკაშვილმა

rustavi2.com

ვალერი ჩიტაიშვილი და გოჩა შანიძე ნორვეგიაში მიემგზავრებიან

გურიის მხარის გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილი და საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა შანიძე ნორვეგიაში არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ნალას'' მიწვევით მიემგზავრებიან. ნორვეგიელები ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ პროგრამას ახორციელებენ, რომლის ფარგლებშიც მოხდა ვალერი ჩიტაიშვილის და გოჩა შანიძის ნორვეგიაში მიწვევა.

შეერთებული შტატები საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, გამოიძიოს 26 მაისის აქციის დაშლის დროს მომხდარი ინციდენტები.

,,გვეჯერა, რომ საქართველოს მოქალაქების უფლებას, რომ მშვიდობიანად გამოხატონ საკუთარი სურვილი, ხელისუფლებამ პატივი უნდა სცეს. სწორდ ამიტომ, მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, რომ გამოიძიოს ყველა ინციდენტი, რაც აქციის დაშლის დრო მოხდა'', - განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა მარკ ტონრმა 27 მაისს გამართულ პრესკონფერენციაზე.

შეგახსენებთ, რომ ოფიციალური ვერსიით აქციის დაშლის დროს ორი ადამიანი დაიღუპა. გუშინ შსს-მ თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე კიდევ ორი ადამიანის გვამი იპოვა, თუმცა ამ დრომდე არ არის დადგენილი, რამ გამოიწვია მათი სიკვდილი.

პარლამენტთან მდუმარე აქცია გაიმართა

შაბათს, 28 მაისს, პარლამენტის წინ მდუმარე აქცია გაიმართა.

"არა ძალადობას" - ამ მოწოდებით მეტროსადგურ ''რუსთაველიდან'' თავისუფლების მოედნამდე სამი საათისათვის მსვლელობა გაიმართა.

არასამთავრობო ორაგნიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლებს აქციაზე ოპოზიციის რამდენიმე ლიდერიც შეუერთდა.

აქციის ფარგლებში გამართული მსვლელობის დროს, რუსთაველის გამზირზე მოძრაობა დროებით შეჩერებული იყო.

rustavi2.com

ხელისუფლებას შეეძლო თავიდან აეცილებინა ეს ტრაგედია

ნინო ნიკოლაიშვილი

– ჩვენ, გურიის ''თავისუფალი დემოკრატები'' გამოვთქვამთ ღრმა მწუხარებას იმ ფაქტის გამო, რც მოხდა 26 მაისს. პირველ რიგში ვუცხადებთ სამძიმარს დაღუპულთა ოჯახებს, გარდაცვლილთა რიცხვი დღითიდღე მატულობს. დაზარალებული და შეურაცხყოფილია ქართველი ხალხი. უამრავი ადამიანი იმყოფება ფიზიკურად რთულ მდგომარეობაში. არიან დაკარგულებიც. ჩვენი ინფორმაციით, გურიიდანაც არიან ადამიანები, რომელთა ადგილსამყოფელი ჯერ კიდევ უცნობია. ნაცემი და გაზარცვულია გაზეთ ,,გურია ნიუსის'' ჟურნალისტი ნატო გოგელია. ეს განცხადება გურიის ,,თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა თემურ სალუქვაძემ პრესკონფერენციაზე გააკეთა, და მოუწოდა ხელისუფლებას, გამოიყენოს ყველა სახელისუფლებო რესურსი აქციაზე დაზარალებულ ადამიანთა დასახმარებლად. სრულად გამოიძიონ 26 მაისის მოვლენები. ხოლო თავად ფაქტს მოძალადე ხელისუფლებისა და უპასუხისმგებლო პოლიტიკოსთა ქმედების შედეგი უწოდა. აღნიშნა, რომ ხელისუფლებას შეეძლო თავიდან აეცილებინა ეს ტრაგედია. მომხდარი ფაქტი ხელისუფლების მხრიდან, არა აქციის დაშლად, არამედ სისხლიან სადამსჯელო ოპერაციად შეაფასა. მისი თქმით, ასეთი ხელისუფლება უნდა წავიდეს, მაგრამ არა ძალადობით, რადგან ყოველი რევოლუცია თავად წარმოშობს ძალადობას. ასეთ შემთხვევაში ერთადერთ სწორ და უალტერნატივო გზად მიიჩნევს რვიანის მიერ არჩეულ გზას, რომელსაც მხარს უჭერს დემოკრატიული ძალები.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, თემურ სალუქვაძე იმყოფებოდა უცხოეთში, რაც გამომსვლელმა პრესკონფერენციაზე დაგვიდასტურა. თქვა, რომ რვა დღის განმავლობაში ის იმყოფებოდა ბელგიაში, ნატოს შტაბბინაში, ესტონეთში, თუმცა ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის მოტივით, ამ შეხვედრების დეტალებსა და შინაარსზე კომენტარი არ გააკეთა.

დაშავებულთა და დაკავებულთა შორის ოზურგეთლებიც არიან

26 მაისს, ღამით, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, შსს სპეცოპერაციისას, ,,სახალხო კრების'' აქციის მონაწილე 17 ოზურგეთელი დაშავდა. მათ შორის გიგა გირკელიძემ სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო.

,,სახალხო კრების'' მთავარი კომიტეტის წევრის, ლელა ნაცვალაძის თქმით, დაშავებულები მხოლოდ მამაკაცები არიან. აქციის მონაწილე ქალები ოზურგეთელთაგან დაშავებული არ არის. დაკავებულთა შორის ოზურგეთლებიც არიან. ამჟამად მიმდინარეობს მათი ადგილსამყოფელის დადგენა და ოჯახებისათვის ინფორმაციის მიწოდება,– გვითხრა ლელა ნაცვალაძემ სატელეფონო საუბრისას.

სახალხო დამცველის აპარატმა აქციებისას დაკავებულების სია გამოაქვეყნა - დაკავებულია 152 ადამიანი. ვაქვეყნებთ მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შედგენილ დაკავებულ პირთა სიას ოზურგეთიდან: (27 მაისის მდგომარეობით):

კვარაცხელია ხვიჩა, პაპუნაშვილი ელგუჯა, წაქაძე ირაკლი, ბუჯიაშვილი გიორგი, ბუბულაშვილი ვლადიმერი, ქურდიანი გივი, ხაჩიძე ზაზა, ლაგვილავა აიდმირი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფლის განვითარების მხარდამჭერი პროგრამის განხორციელება იწყება

თეონა ჩხარტიშვილი

საკრებულოს მორიგ სხდომაზე, რომელიც 23 მაისს გაიმართა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოფლის განვითარების მხადამჭერი პროგრამის განხორციელებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. როგორც ცნობილია ამისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 1 085 044 ლარი, რომელიც მუნიციპალიტეტის 28 სოფელსა და დაბაში გადანაწილდა. სხდომის დასაწყისში საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა განაცხადა, რომ ყოველივე ამას, წინ უძღვოდა მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარება, როგორიცაა თითოეული სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრა, საჯარო განხილვები, პრობლემების წინ წამოწევა და აქედან მნიშვნელოვანის შერჩევა. ხოლო სხდომაზე მოწვეულმა დაბის, სოფლის დეპუტატებმა თავაიანთ რწმუნებულებთან ერთად ისაუბრეს პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხით, რომელიც მათ დაბას, სოფელს ერგო წილად, თუ რა სახის სამუშაოები ჩატარდება. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ მოსახლეობასთან შეთანხმებით მოხდა პრობლემების იდენტიფიცირება, გამოყოფილი თანხის ფარგლებში მნიშვნელოვანი პრობლემების წინ წამოწევა და მისი დაფინანსება.

ალეკო მამეშვილი: – დღევანდელ დღემდე მართლაც აქტიური სამუშაოები ჩაატარა საკრებულომ და გამგეობამ. ყველა თემში მოეწყო საჯარო შეხვედრები და განხილვები იმ პრობლემებისა, რომლებიც მათ სოფლებსა და დაბებს გააჩნდა. ამის შემდეგ შეირჩა პრიორიტეტები თითოეულისათვის და შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადდა ხარჯთაღრიცხვა. შემდგომი შეხვედრების დროს დავავალდებულეთ დეპუტატები და რწმუნებულები, რაც იყო პრიორიტეტული მათ სოფელსა თუ დაბაში და შესაბამისი ბიუჯეტი გაეცნოთ სოფლის მოსახლეობისათვის. რწმუნებულებისა და თანაშემწეების შემდგომი ნაბიჯი იყო კარდაკარ შეხვედრები მოსახლეობასთან, რათა მათთვის გაეცნოთ მათი პრობლემებიდან რა ფინანსური შედეგები და ღირებულება სჭირდებოდა ამა თუ იმ მოსაგვარებელ საკითხს გადაწყვეტისათვის. ასევე მათთან ერთად დაეგეგმათ თუ რა სახის სამუშაოების ჩატარება იყო შესაძლებელი. დღეისათვის უკვე შერჩეულია საბოლოო ღონისძიებები, რომლებიც სოფლად ჩატარდება. დაახლოებით 200-ზე მეტი სხვადასხვა სახის სამუშაოებია ეს, რომლებიც ეხება გზების და წყლის სისტემის რეაბილიტაციას, საყანე და სასაფლაო ფართობების შემოღობვას და ა. შ.

ვფიქრობ, რომ პრობლემები მართლაც ბევრია სოფლად, მაგრამ ამ თანხებით შესაძლებელია რამდენიმე ლოკალური პრობლემის მოგვარება.

ბ-ნმა ალეკომ ისიც აღნიშნა, რომ საკრებულომ მიიღო დადგენილება, რომელიც ეხება მკაცრ მონიტორინგს და შეფასებას საქმიანობის წარმოებასთან მიმართებით. მისი თქმით, საკრებულო და გამგეობა არის გარანტი იმისა, რომ ყველა თეთრი მოხმარდება საქმეს. ამაში ერთ-ერთ ხელისშემწყობად იგი მასმედიის წარმომადგენლებს მიიჩნევს, რათა თითოეული პროექტი იყოს ღია და გამჭირვალე.

პროკრედიტბანკი აგროსესხებს სთავაგობს ფერმერებს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში პროკრედიტბანკის წარმომედგენლები სოფლის რწმუნებულებს და ფერმერებს შეხვდნენ. საუბრის თემა აგროსესხები იყო, რისთვისაც ამ ბანკის საკრედიტო პორთველი 17 მილიონ 500 ათას ლარს შეადგენს და წლიურად 500-ზე მეტ აგროსესხს გასცემენ.

ბანკის მმართველის გია გალდავას თქმით, მთავარია სწორი საკრედიტო წინადადება იყოს, ისინი მზად არიან დააფინანსონ. კრედიტები სხვადასხვა ვადისაა და სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთს შეიცავს. თუმცა საპროცენტო განაკვეთი არც ისე მცირეა და იგი 17-დან 34 პროცენტამდე მერყეობს

26 მაისის გამთენიისას, რუსთაველის პროსპექტზე აქციის დარბევისას, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს "გურია ნიუსის" ჟურნალისტს ნატო გოგელიას

– იგი პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა და იღებდა კადრებს, თუ როგორ უსწორდებოდნენ სპეცრაზმელები ალყაშემორტყმულ მომიტინგეებს. სპეცრაზმელების გაღიზიანება გამოიწვია კადრების გადაღებამ, თუ როგორ უმოწყალოდ სცემდა 4-5 "სამართალდამცავი" წაქცეულ მომიტინგეს, რომელიც ცდილობდა გაქცევით ეშველა თავისთვის. რამდენიმე სპეცრაზმელმა ჟურნალისტი გააკავა, ფოტოკამერიდან ამოიღეს და დაამტვრიეს მეხსიერების ბარათი, დააზიანეს კამერა; შენიშნეს რა, რომ ჟურნალისტი ამ ინციდენტის ჩაწერას წინასწარ ჩართული მობილურით ცდილობდა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და წიხლებით ფიზიკურად გაუსწორდნენ. ჟურნალისტს წაართვეს მობილური ტელეფონის აპარატი. საყურადღებოა, რომ ძვირადღირებული მობილური ტელეფონი და ჟურნალისტის მოწმობა მისთვის არ დაუბრუნებიათ, ერთ-ერთმა მათგანმა კი ჟურნალისტს თითიდან ბეჭედიც წაგლიჯა.

სამწუხაროდ, ეს არ იყო გამონაკლისი შემთხვევა – დარბევისას რამდენიმე ჟურნალისტი სცემეს, გაანადგურეს მათ მიერ მოპოვებული მასალები, აპარატურა. ჩვენ ვგმობთ იმ ფაქტს, რომ აგრესია ჟურნალისტების მიმართ, ფიზიკური ანგარიშსწორება ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან, უკვე სისტემატური გახდა და ხელისუფლების მხრიდან წახალისებულია.

„გურია ნიუსი" მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებს, აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, რომლებსაც განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ განცხადებების გაკეთებისას, მოვლენების შეფასებისას; მივმართავთ, ასევე, ღირსებაშერჩენილ საზოგადოებას საქართველოში – ჩვენ ქვეყანაში ჟურნალისტობა სიცოცხლისთვის საშიში პროფესია გახდა და მათ უსაფრთხოებაზე, მათი ოჯახების წინაშე პასუხისმგებლობის აღება მედიასაშუალების მფლობელების მხრიდან უფრო და უფრო ძნელი ხდება.

"გურია ნიუსის" რედაქცია უღრმეს მადლობას უხდის ჟურნალისტების ჯგუფს, რომლებმაც დარბევის ღამეს, კოლეგიალობის, სამოქალაქო და პროფესიული პასუხისმგებლობის მაგალითი აჩვენეს – ჩვენთვის პატივია მათ გვერდით ყოფნა და სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლა!

ძვირფასო ბავშვებო!

ოზურგეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის კოლექტივი გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ნიგნიერებას, საშობლოს უსაზღვრო სიყვარულს.

ლიკა ბაქანიძე,
ოზურგეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი.

ოზურგეთის ბავშვთა სამკურნალო ცენტრი გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ ბავშვობას, ნამატებებს მომავალ ცხოვრებაში!

დავით მდინარაძე,
ბავშვთა სამკურნალო ცენტრის
დირექტორი

ძვირფასო ბავშვებო!

გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. გისურვებთ მუდამ ცისფერი გოგო-ბიჭები გვყავდეთ. ომერთი იყოს თქვენი მოვარდნილი.

ლია ქათამაძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი.

ეიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაცვის" თანამშრომლები გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს!

გისურვებთ ჯანმრთელობას, უღრუბლო ცას, ულევ სიხარულს!

ძვირფასო ბავშვებო! გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს სწავლაში.

მაკა ჭყონია
ცენტრის დირექტორი

ჩემო საყვარელო ბავშვებო!
სულითა და გულით მოგილოცავთ ბავშვთა დაცვის დღეს. ღმერთი იყოს თქვენი გზა და კვალის დამცველი და დამლოცველი.
იყავით დღეგრძელნი.

ლელა შარაშენიძე
ოზურგეთის სამუსიკო სკოლის დირექტორი



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი გილოცავთ 1 ივნისს–ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს. ჩვენი თეატრი მუდამ თქვენს სამსახურშია.

ლაშა კუტალაძე
ოზურგეთის თოჯინების თეატრის დირექტორი

„ადგილობრივი ხელისუფლება დახმარებას დაგვპირდა და ჩვენც ამ იმედით ვართ“

მარი კოძოევი

პირველ ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ კონცერტში მონაწილეობას სამუსიკო სკოლის ბავშვებიც მიიღებენ. ასევე სკოლას დაგეგმილი აქვს 20 ივლისს ჩაატაროს წლის საანგარიშო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას წარჩინებული მოსწავლეები მიიღებენ.

—ფუნქციურად ჩვენ არ გვევალება კონცერტების ჩატარება. ეს არ არის გასართობი სკოლა. ჩვენ ვაძლევთ ბავშვებს განათლებას და შეგვიძლია ჩავატაროთ საანგარიშო კონცერტები წელიწადში ორჯერ, ახალ წელს და სასწავლო წლის ბოლოს —შემაჯამებელი. თუმცა გვაქვს შუა სასკოლო ღონისძიებაც, მიუხედავად იმისა, რომ არ გვევალება, საგუნდო საორკესტრო და ხალხურ საკრავთა განყოფილების მოსწავლეები აწყობენ ღონისძიებებს‘‘—გვითხრა სკოლის დირექტორმა ლელა შარაშენიძემ.

ოზურგეთის სამუსიკო სკოლაში საფორტეპიანო, საორკესტრო და ხალხურ საკრავთა განყოფილებები ფუნქციონირებს. ამათგან ყველაზე მეტი მოსწავლე, როგორც სკოლის დირექტორი ამბობს, საფორტეპიანო განყოფილებას ჰყავს, თუმცა არანაკლები მოთხოვნადია ხალხურ საკრავთა განყოფილება.

—მიუხედავად ბავშვთა რაოდენობისა, ამა თუ იმ განყოფიელბაში ჩვენ მაინც ვასწავლით სხვადასხვა საგნებს: სოლფეჯიოს, მუსლიტერატურას, ხალხურს, როგორც პრაქტიკულად, ისე მოსმენით—-ამბობს ქალბატონი ლელა.

აღსანიშნავია, რომ სამუსიკო სკოლას ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი შენაძენი აქვს. მას საჩუქრად ადგილობრივი ხელისუფლებიდან როიალი გადაეცა.

—შესაძლებლობის ფარგლებში გვეხმარებიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. როიალი, კომპიუტერი შეგვიძინეს. მოვაწყვეთ კომპიუტერის ოთახი. მაგრამ პრობლემები მაინც ბევრი გვაქვს. ყველაზე დიდი პრობლემა ჩვენთვის არის ის, რომ შენობა ავარიულია, მის შეკეთებას დიდი თანხები სჭირდება. ადგილობრივ ხელისუფლებას მივმართეთ, დახმარებას შეგვპირდნენ. ჩვენც ამის იმედი გვაქვს—გვითხრა ლელა შარაშენიძემ.

სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი, ოზურგეთში ცნობადია

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბისა და ლანჩხუთის აგრობიზნესცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა აიპ-ის (არასამეწარმეო იურიდიულ პირი) ცნობადობის შესახებ. ამ კვლევის შედეგების მიხედვით ყველაზე ცნობადად აღიარეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი. ცენტრის დირექტორმა, ქ-მა მაკა ჭყონიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ეს კვლევა მათგან დამოუკიდებლად ჩატარდა და შედეგებით გახარებულები არიან. —ამ შედეგებმა ძალიან გაგვახარა. მინდია სალუქვაძემ მოგვწერა წერილი, რაც ითვალისწინებს საბავშვო ბაღებში მონიტორინგის ჩატარებას. ჩვენ რა თქმა უნდა, ვითანამშრომლებთ მათთან და რეკომენდაციებს გავითვალისწინებთ.

შეკითხვაზე, რა მდგომარეობაა ნაგომრისა და ცხემლისხიდის, კონჭკათის ბაღების გახსნის გამო, ცენტრის დირექტორმა გვიპასუხა, რომ ამჟამად განხილვის პროცესშია ნაგომრისა და ცხემლისხიდის ბაღების საკითხი. რაც შეეხება კონჭკათს, ამ ეტაპზე საკითხი არ განიხილება. სამომავლო გეგმების შესახებ, აღნიშნა, რომ ცენტრის ინიციატივით ჩატარდა ტრენინგები მენეჯერებისათვის, — ახალი სტანდარტები, ახალი ინიციატივები — მომავალში მასწავლებლებისთვისაც იგეგმება.

მისაბაძი ღონისძიება

დღეს, როცა თანამედროვე ბავშვი კომპიუტერს მიეჯაჭვა და დიდია მათი თამაშებით გატაცება, მნიშვნელოვნად უნდა დაიგეგმოს აღმზრდელებისაგან საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომლებიც თაობას წიგნისაკენ მოაბრუნებს, მათი ინტელექტუალური მოთხოვნილება წიგნის წაკითხვის წყურვილში გადაიზრდება. არ დაიკარგება დრო ისეთი გატაცებით, რაც აღმზრდელობითი არ არის და გონების გადაღლის გარდა, არანაირ შედეგს არ იძლევა.

მივესალმებით ისეთ ღონისძიებებს, რომლის ინიციატორი ხშირად ოზურგეთის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლია (დირექტორი მაია ნიკოლაიშვილი). ამჟამად ისინი მუნიციპალიტეტის სკოლების მეექვსე კლასელებისათვის ატარებენ ინტელექტუალურ თამაშს ,,სად, რა, როდის?‘‘

თხინვალის სკოლის მოსწავლეებმა წარმატებით გადალახეს რამდენიმე ტური. ფინალში სამი მოსწავლე გავიდა და მეორე ადგილი დაიკავა.

მჯერა, პატარებს წიგნის წაკითხვის სურვილი მეტად გაუჩნდებათ და სხვებისათვის მაგალითის მიმცემნი იქნებიან.

სწორედ ეს არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, მისი ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებით, რაც ნამდვილად აღუძრავს მოზარდებს მოტივაციას სწავლისადმი და დადებითად განაწყობს საქმისადმი.

ლალი მჟავია,
თხინვალის სკოლის პედაგოგი.

ოზურგეთის თოჯინების თეატრი 1 ივნისს ჩოხატაურს ეწვევა

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი დაბა ჩოხატაურს ეწვევა. ისინი აქაურ ნორჩ მაყურებლებს სუპონინის ,,ბუტიას‘‘ და მ.ანთაძის ,,ნაცარქეიას‘‘ უჩვენებენ.

თეატრის დირექტორის ლაშა კუტალაძის თქმით, თოჯინების თეატრი ჩოხატაურში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ანტონ ხუნდაძემ მიიწვია. თეატრი ამჟამად მიხალკოვის ,,სამ გოჭს‘‘ ამზადებს, რომელსაც ნორჩ მაყურებლებს ივნისის შუა რიცხვებში აჩვენებენ.

ოზურგეთის სამხატვრო გალერეის ფონდს სამი ნამუშევარი შეემატა

მარი კოძოევი

ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრ—სურათების გალერეის ფონდს გასულ კვირის ხუთშაბათს სამი გრაფიკული ნახატი შეემატა. სურათების გალერეას ნახატები საჩუქრად თავად ავტორმა, რომან კრიხელმა და ცნობილმა მხატვარმა, საქართველოს მხატვართა ასოციაციის თავმჯდომარე გია ბუღაძემ გადასცეს.

გალერეის დირექტორის ავთანდილ თავართქილაძის თქმით, ეს ნამუშევრები მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ძვირფასია.

რაც შეეხება ნახატების ავტორს რომან კრიხელს, იგი თბილისში დაიბადა და გაიზარდა. 37 წელია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. ახლა კი ისევ ესტუმრა საქართველოს. ჩამოიტანა საკუთარი ნამუშევრები, რომლებიც ქვეყნის ხუთ გალერეაზე გადანაწილდა საჩუქრების სახით. საქართველოს ეროვნული გალერეის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის გალერეების შემდეგ იგი საჩუქრებით ხელდამშვენებული ოზურგეთსაც ესტუმრა.

გია ბუღაძე:—როცა ნახატები ჩამოიტანა და გვითხრა, რომ საჩუქრად უნდა გადაეცა გალერეებისათვის, ჩვენ საქართველოს ყველაზე ცოცხალი კერები ვურჩიეთ, რომელთა რიცხვში, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი ძირითადი ოზურგეთის გალერეაა. რასაც ეს კულტურის კერა აკეთებს, ნამდვილად პატრიოტული საქმეა. მან ძალიან მძიმე წლები გამოიარა, მაგრამ მთავარია, რომ დღემდე ღირსეულად მოვიდა და ძალიან მნიშვნელოვანია. სიმბოლურია, რომ ოზურგეთში 26 მაისს, ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს ჩამოვედით. მინდა ყველა ოზურგეთელს და პატრიოტს მივულოცო დამოუკიდებლობის დღე. მრავალს დაესწარით!

„სადაზღვევო კომპანიები თუ კეთილსინდისიერად გადაგვიხდიან ფინანსური კრიზისი არ გვემუქრება“

მარი კოძოევი

ოზურგეთში მხოლოდ ერთი სამშობიარო სახლია. გაზეთ „ალიონის“ რედაქციამ გადაწყვიტა მკითხველისათვის მოეთხრო სამშობიარო სახლში არსებული ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ.

აღნიშნული სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელთან დავით მდინარაძესთან საუბარი სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობის შესახებ დავიწყეთ, რადგან, რამდენიმე თვის წინ, სამშობიარო სახლის ხელმძღვანელი, ამ მხრივ პრობლემებზე და კომპანიებთან გართულებულ მდგომარეობაზე საუბრობდა.

– სადაზღვევო კომპანია „ალფამ“, რომელიც გურიის რეგიონს ემსახურება, ხელშეკრულებაში ჩადო პუნქტი იმის თაობაზე, რომ სამუშაოს შესრულებიდან 45 დღის განმავლობაში აანაზღაურებს გაწეული სამუშაოს საფასურს. ამ დღეებში „ალფას“ ხელმძღვანელს ედუარდ ცხოვრებაძეს ვესაუბრე და მითხრა, რომ მარტის თვის ხელფასები რამდენიმე დღეში გადმოგვერიცხება. სულ სხვა მდგომარეობაა სადაზღვევო კომპანია „იმედი-L“–თან, რომელსაც იანვრის თვის თანხა დღესაც არ გადმოურიცხავს.

როგორც საუბრისას გავარკვიეთ, სამშობიარო სახლში მტკივნეულად დგას კადრების შემცირების თემა, რასაც მოყვა თანამშრომელთა მეტი ნაწილის ანაზღაურების სხვა ფორმაზე – გამომუშავებით ანაზღაურებაზე გადასვლა.

წინა წლებთან შედარებით ახალშობილთა რაოდენობამ მოიმატა – გვითხრა დავით მდინარაძემ. ეს მაშინ, როდესაც მომსახურების ფასები საგრძნობლად გაიზარდა. ფიზიოლოგიური მშობიარობა 400, საკეისრო კვეთა – 800, ხოლო საკეისრო, რომელიც არაა აუცილებელი და მშობიარე თავისი ნებით იკეთებს 1000 ლარი ღირს.

„სამედიცინო დაწესებულებებში პროფესიონალები უნდა მუშაობდნენ“

თეონა ჩხარტიშვილი



ოზურგეთის ბავშვთა სამკურნალო ცენტრში თუ რა მდგომარეობაა ამ ეტაპზე, კერძოდ, როგორია მათი დამოკიდებულება სახელმწიფოსთან და სადაზღვევო კომპანიებთან, ასევე მედპერსონალთან დაკავშირებით სამედიცინო განათლების კუთხით მოსალოდნელ სიახლეებზე, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე და სხვა საკითხებზე, ცენტრის დირექტორი დავით მდინარაძე გვესაუბრება.

– ბ-ნო დავით, რა ურთიერთობა გაქვთ სახელმწიფოსთან, სადაზღვევო კომპანიებთან და როგორია დაფინანსების საკითხი ამ კუთხით?

– ბავშვთა სამკურნალო ცენტრს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები როგორც სახელმწიფოსთან, ისე სადაზღვევო კომპანიებთან. სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს დაბადებიდან 3 წლამდე ასაკის ბავშვების სამედიცინო მომსახურებას 20%-იანი თანაგადახდის პრინციპით. რაც შეეხება სადაზღვევო კომპანიებს, სადაც ბავშვების მომსახურების მეტი წილი სადაზღვევო კომპანია „ალფაზე“ მოდის. ხელშეკრულებები სხვა კომპანიებთანც გვაქვს გაფორმებული. დაფინანსების კუთხით შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე მდგომარეობა ცოტათი გაუმჯობესდა. სახელმწიფო დროულად რიცხავს თანხებს. სადაზღვევო კომპანიების გადაწყობის გამო (ტენდერში „ალფამ“ გაიმარჯვა) კი ცოტათი ხდება თანხების შეფერხება, მაგრამ არა მნიშვნელოვნად.

– რას გვეტყვით პაციენტების მომართვიანობასთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე ძირითადად რა ჩივილებით მოგმართავენ?

– რაც შეეხება მომართვიანობას, იგი სტაბილურია. მაისის თვეში იყო გარკვეული მატება ვირუსთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე ძირითადად პაციენტები რესპირატორული პრობლემებით, ანუ სასუნთქი გზების დაავადებებით შემოდიან. ასევე ძალიან დიდი მატებაა გლანდების ოპერაციებისა ქრონიკულ პრობლემებთან დაკავშირებით. ჩვენ გვყავს მოწვეული კვალიფიციური ქირურგი ქუთაისიდან ვახტანგ მატარაძე, რომელიც კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით აკეთებს ამ სახის ოპერაციებს.

– გვაქვს ინფორმაცია, რომ ოზურგეთში კიდევ იქმნება ყელ-ყურის კაბინეტი...

– არის საუბარი, რომ ოზურგეთის ცენტრალურ საავადმყოფოშიც ვახტანგ მატარაძე გააკეთებს ოპერაციებს. ეს საკითხი ჩვენთვის ცოტათი სირთულეს წარმოადგენს. ვფიქრობ, რომ აქ ინტერესთა კონფლიქტი იქნება. ალბათ უკეთესი იქნებოდა საავადმყოფოს თავისი კადრი გადაემზადებინა, ვიდრე ჩვენგან წაეყვანა. მაქვს ინფორმაცია, რომ არის ოზურგეთელი, რომელიც ამთავრებს ამ სპეციალობას, ალბათ წელიწადნახევარში ის ჩამოვა და გვეყოლება ადგილობრივი კადრი.

– სამკურნალო ცენტრის ახალი ტექნიკით აღჭურვა ხომ არ იგეგმება?

– ამ ეტაპზე შემიძლია გითხრათ, რომ მოსალოდნელი არ არის ცენტრის ახალი სამედიცინო ტექნიკით აღჭურვა, რადგან ეს დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული.

– მედპერსონალთან დაკავშირებით რამე ცვლილებები ხო არ არის?

– მედპერსონალთან დაკავშირებით ცოტა ხანში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება უწყვეტ სამედიცინო განათლებასთან დაკავშირებით. ექიმებიც და საშუალო სამედიცინო პერსონალიც ვალდებულები არიან გაიარონ გადამზადების კურსი. ისინი გარკვეულ ტესტირებასაც გაივლიან. ტენდენცია არის ის, რომ სამედიცინო დაწესებულებაში უნდა მუშაობდეს პროფესიონალი.

– კადრების შემცირება ხომ არ მოჰყვება ამას?

– სახელმწიფო ადამიანს აძლევს იმის შანსს, რომ თავისი ცოდნა გამოავლინოს. თუ იცი დარჩები, თუ არა, წახვალ. მე ვფიქრობ ეს სწორი მიდგომაა. ადამიანი ყოველთვის უნდა ფიქრობდეს პროფესიულ განათლებაზე. მედიცინაში ძალიან მალე იცვლება რაღაცაები, შეიცვალა მკურნალობის ტენდენციებიც. თუ ექიმი ვერ გაეცნო ამას, იგი პროფესიულად ვერ არის გამართულად, ამიტომ ამ სიახლეების ძებნისთვის აუცილებელია უწყვეტი სამედიცინო განათლება.

როდესაც საქართველოს პრეზიდენტთან ვიყავი შეხვედრაზე, იყო ამ საკითხებზე საუბარი. ასევე ძალიან ძნელია ადამიანი ოზურგეთიდან წავიდეს და 2-3 თვე იყოს თბილისში გადამზადებისათვის, მოწყდეს ოჯახს, სამსახურს. ამისათვის ვთხოვე პრეზიდენტს, რომ რამე მოვიფიქროთ დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით. გამოვიყენოთ ინტერნეტი, ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც არის ამჟამად რეგიონში. ასევე შესაძლებელი იქნება გამოცდების ჩაბარება. მან ეს აზრი პერიფერიებში დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით მოიწონა. ვნახოთ, შეიძლება დაინერგოს ეს სისტემა, რაც მისასალმებელი იქნება.

– გმადლობთ.

დაუდრეკელ სულთა თარეში

ნინო ნიკოლაიშვილი

„ამ სპექტაკლით მე მინდა ჩვენი ახალგაზრდობა მივუახლოვო ქართულ გენეტიკურ მახსოვრობას“ - ამბობს საქართველოს სახალხო არტისტი მურმან ჯინორია, რომლის თეატრალური შემოქმედებაც ქართული გენეტიკური სულის ამოძახილია.

სწორედ ამ ამოძახილით შეეხმიანა ის ოზურგეთელ მაყურებელს, რომლის წინაშეც წარსდგა ერთი მსახიობის თეატრით, სცენაზე კი რამდენიმე ადამიანის აჩრდილი იდგა. უფრო სწორად, იყო დაუდრეკელ სულთა თარეში თითქოს მოკვდავთა. იყო „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა.“ სწორედ ეს რაღაც სხვა აამღერა მსახიობმა ერთმოქმედებიან მონო სპექტაკლზე „ქარი მწყურია მე პირდაპირი“ და რომლის ინსცენირება, რეჟისურა, მხატვრობა და მუსიკალური გაფორმება თავად ეკუთვნის. „ცოცხალ სამყაროს აქვს ორი ხმა, კაცის და მხეცის“. ერთი მხრივ კაცთა ხმა მღეროდა. კი არ მღეროდა, ქართან ერთად დათარეშობდა. მერე თითოეული მსმენელის გულში ძვრებოდა, სულს უშფოთებდა. მსახიობის ყოველ გარდასახვას ახალი პერსონაჟი შემოჰყავდა სცენაზე, და სცენაზე იყო ილია, ვაჟა, ტიციანი, პაოლო, ტერენტი გრანელი, ბარათაშვილი, გურამ რჩეულიშვილი, ლადო ასათიანი, მურმანი, მუხრანი... გალაკტიონი. „ამ კლდეზე ვიღაც დაჯდება მაშინ, როდესაც მე აღარ ვიქნები“. კლდეზე მართლაც დაჯდა ვიღაც, უფრო სწორად პერიოდულად ისხდნენ ვიღაცაები, ნაღდებიც და მხდალებიც, ოღონდ არა მათნაირი. ვიღაცას უყვარდა და უყვარს, ვიღაც მღეროდა და მღერის, ოღონდ სხვანაირად. მხეცის ხმაც ისმოდა თითქოს შორეთიდან, სცენაზე შემოსულ კვამლს მოჰყვებოდა ბურუსი ცხოვრების ამაოებისა. საშინელია ადამიანში ჩაბუდებული მხეცი. ერთმანეთს ებრძოდა დემონი და ანგელოზი, სული უდრეკი დიდხანს ვერ უძლებს ტყვედ ქმნილობას, გაივლის ბეწვის ხიდზე? აუყვება კიბეს ცათამდე? ქარის ქროლვას დაედევნება სული, ვნების სიმძაფრე აქაცაა. სცენის დეკორაციები: ცხოვრების სარკე, თოკი და კიბე, ჭიქა ღვინო და მკრთალი ნათება; სადღაც სიმდაბლეა, სადღაც სიმაღლე; ამ ცხოვრებაზე ამაღლდა გალაკტიონი.

ბოლომდე დაიხარჯა მსახიობი, რათა ყოველივე ზემოთთქმული წარმოედგინა და ეთქვა თავისი სათქმელი, მოფერებოდა სიყვარულს, სამშობლოს, მშვენიერებას, მეგობარს და საერთოდ ადამიანს. მათი ენით, მათი გულით, რასაც საკუთარი გულის თქმაც დაუმატა და... მაყურებელმა გასაშვებად მსახიობი ვერ გაიმეტა – ეს წამები ღირს იმად, რასაც შენი სამშობლო ჰქვიაო, თქვა და საქართველო სამყაროს შეუერთა, დედამიწის ერთ-ერთი ულამაზესი ნაწილი

თბილისელი მაყურებელი ფეხზე წამოუდგა ოზურგეთელ მონაწილეებს

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების პირთა რეაბილიტაციის ცენტრი მადლობას უხდის ბიზნესმენ ბეგი სიორიძეს გაწეული დახმარებისათვის

ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეაბილიტაციის ცენტრის წევრებმა თბილისელ მაყურებელთა და ფესტივალის ჟიურის მოწონება დაიმსახურა. ისინი მონაწილეობდნენ საქართველოს პროფესიული კავშირების ინიციატივით (თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი) გამართულ მუსიკალურ ფესტივალში, რომელშიც 14 გუნდი გამოდიოდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან თუ რეგიონიდან.

– ფესტივალის ორგანიზატორებს: მანანა სეფიაშვილს, ნანა ცინცაძეს, ეთერ მათურელს ინფორმაცია ჩვენს შესახებ ვასილ ჩიგოგიძემ მიაწოდა – გვითხრეს რეაბილიტაციის ცენტრში. პროგრამა თითოეული გუნდისათვის 20 წუთით განისაზღვრებოდა. ოზურგეთიდან მონაწილეობდნენ: ფიქრია ბარამიძე, თენგო ჭიტაძე, დათო ჟღენტი, ნათია ხელაძე, დათო მენაბდე, თამუნა ლურსმანაშვილი, თამუნა ბარამიძე, მარი კობიძე. დარბაზი ფეხზე წამოუდგა ოზურგეთელ მონაწილეებს. განსაკუთრებული ოვაციები დაიმსახურა დათო ჟღენტის სიმღერამ „გამარჯობა ჩემო თბილის ქალაქო“.

მონაწილეებს ჟიურის მიერ 2010 წლის პრემია და ლაურეატის წოდება მიენიჭა.

– მართალია სცენას მიჩვეულნი ვართ, მაგრამ ასეთ დიდ სცენაზე პირველად ვიყავით, ძალიან ვინერვიულეთ, თუმცა ჩვენი გამოსვლა ყველას მოეწონა. სცენაზე ამოვიდა კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი. შემდეგ ბანკეტზე მიგვიპატიჟეს, – გვითხრა თამუნა ლურსმანაშვილმა. აღნიშნა ისიც, რომ მათთვის ძალიან გასახარი იყო მათი მეგობრის სტუმრობა – მეგობრებთან ერთად დარბაზში მოვიდა და გვგულშემატკივრობდა ჩვენი მეგობარი გურამ ნიკოლაიშვილი. თბილისში სამ დღეს დავრჩით, დავათვალიერეთ მთაწმინდა.

მონაწილეთა მგზავრობა ბიზნესმენმა ბეგი სიორიძემ დააფინანსა, რის გამოც ცენტრის წევრები მადლობას უხდიან მას. ამჟამად ისინი 1 და 14 ივნისისათვის ემზადებიან. 14 ივნისი ინვალიდთა საერთაშორისო დღედ არის აღიარებული.